პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 28 (19769) კვირა, 1 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

პროფკავშირთა ყრილობის დარბაზიდან

სურათზე: ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი შესვენებისას — მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშა ჟ. კილურაძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის მექანიზატორი ლ. გაბოშვილი, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჟ. ქარჩავა, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ჟ. ბურდიაშვილი, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათის კოლმეურნეობის მევენახე დ. მინაძე და წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანების მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. მაისაძე.

ვ. გენგიშვილის ფოტო.

გარდაქმნა და კადრები

ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე განისაზღვრა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი. ეს კურსი დადასტურდა, დაკონკრეტდა და ყოველმხრივ განვითარდა სკკპ XXVII ყრილობაზე. დაჩქარება გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ძირეულ, ნამდვილად რევოლუციურ გარდაქმნას, მათს თვისებრივად ახალ დონეზე ყვანას, რომელიც შეესაბამება დროის მოთხოვნებს.

პარტიამ აღნიშნა დაჩქარების ძირითადი საშუალებები. ეს არის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გამოყენება; სამეურნეო მექანიზმის, მართვის მთელი სისტემის რადიკალური სრულყოფა; ადამიანის ფაქტორი — ადამიანების შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის მკვეთრი ვადიდება.

გარდაქმნის, დაჩქარების პრობლემებს მიეძღვნა 27-28 იანვარს გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომლის გადასაწყვეტად გამოიტანეს საკითხი: „გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ".

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საკადრო პოლიტიკის გარდაქმნის საკითხი მოხსენებაში განხილულია ფართო სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, წარსულის გაკვეთილების, პარტიისა და ქვეყნის ახლანდელი მომენტის ხასიათისა და სამომავლო, საპერსპექტივო ამოცანების გათვალისწინებით.

საბჭოთა საზოგადოებაში გადაჭრილი დაიწყო გარდაქმნა. ამ გზაზე პირველი ნაბიჯები გადაიდგა. პირველი პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ ქვეყნის ცხოვრებაში დაიწყო დიდი ცვლილებები. ძალას იკრებს დადებითი ტენდენციები. სკკპ XXVII ყრილობის პოლიტიკურ გზს, მისი განხორციელებისათვის პარტიის პრაქტიკულ მუშაობას ფართოდ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი.

ამავე დროს აღნიშნულია მოხსენებაში, უკეთესობისაკენ ცვლილებები ნელა მიმდინარეობს. გარდაქმნის საქმე უფრო ძნელი აღმოჩნდა, საზოგადოებაში დაგროვილი პრობლემების მიზეზები და ფესვები — უფრო ღრმა, ვიდრე წინათ წარმოგვედგინა. ამიტომ მოხსენებაში ყოველმხრივ არის განხილული სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის წინ საზოგადოების მდგომარეობა, გამოვლილი უარყოფითი პროცესების მიზეზები, დასახული ღონისძიებანი, რომლებიც დაგვაჩქარებინებს წინსვლას, არ გაგვამეორებინებს შეცდომებს.

წელს შესრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წელი. უდიდესი და უდავოა ჩვენი ხალხის მიღწევები სოციალისტურ გარდაქმნათა გზაზე. მაგრამ წარმატებებმა არ უნდა მიგვიყვანოს საზოგადოების განვითარებაში არსებული შეცდომები და წინააღმდეგობანი. გარკვეულ ეტაპზე ქვეყანამ შეაღწია განვითარების ბილიკებში, დაგროვდა სიძნელეები და გადასაჭრელი პრობლემები. გაჩნდა უძრაობის და სოციალიზმისათვის უცხო სხვა მოვლენები.

რა თქმა უნდა, ქვეყნის განვითარება არ შეწერეულა. ათობით მილიონი ადამიანი პატიოსნად შრომობდა. ბევრი პარტიული ორგანიზაცია და ჩვენი კადრები აქტიურად მოქმედებდნენ. ყველაფერი ეს აფერხებდა ნეგატიურ პროცესებს, მაგრამ მათი აღკვეთა ვერ ახერხებდა.

რა არის, კითხვას სვამს მ. ს. გორბაჩოვი, ამ რთული და წინააღმდეგობრივი სიტუაციის მიზეზი?

მთავარი მიზეზი — და პოლიტბიურომ საჭიროდ მიიჩნია სავსებით აუცილებლად ეთქვა ეს პლენუმზე — ის იყო, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ქვეყნის ხელმძღვანელობამ უწინარეს ყოვლისა სუბიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლეს დროულად და მთელი მოცულობით შეეფასებინათ -ცვლილებების აუცილებლობა, საზოგადოებაში კრიზისული მოვლენების ზრდის საშიშროება, შეეშუშავებინათ მათი დაძლევის, სოციალისტურ წყობილებაში არსებული შეაძლებლობების უფრო სრულად გამოყენების ზუსტი გეზი.

პოლიტიკის შემუშავებისას და პრაქტიკულ საქმიანობაში ჭარბობდა კონსერვატიული განწყობილება, ინერცია, მისწრაფება თავიდან ავცილებინათ ყველაფერი, რაც არ ეტეოდა ჩვეულ სქემებში, მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრის სურვილის უქონლობა.

ცხოვრებისეული პრობლემებისა და წინააღმდეგობების გაცნობიერების დონე ბევრად იყო დამოკიდებული თეორიის მდგომარეობასა და განვითარებაზე. ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ თეორია უსაობს „ყველა იმ წინააღმდეგობის" ზუსტი გამოხატულებით, „რომელთაც ადგილი აქვთ ცხოვრებაში", ხშირად უგულებელყოფდნენ. სოციალიზმის მამოძრავებელი ძალებისა და წინააღმდეგობების ინტერპრეტაციას ვერ გასდა ღრმა მეცნიერული კვლევის საგანი. ლენინის დებულებებს სოციალიზმის შესახებ ხშირად გაუბრალოებულად განმარტავდნენ. არცთუ იშვიათად მათ სიღრმესა და მნიშვნელობას დეფორმირებს აცლიდნენ. მნიშვნელოვანწილად მოიკიდა ფეხი ქარაფშუტულმა წარმოდგენებმა კომუნიზმის შესახებ, ნაირნაირმა წინასწარმეტყველებებმა და აბსტრაქტულ-სქოლასტიკურმა მსჯელობამ.

ყოველივე ამან ნეგატიური გავლენა მოახდინა პრაქტიკის საკითხების გადაწყვეტაზე. მეურნეობრიობისა და მართვაში ათეული წლების მანძილზე იყენებდნენ მოძველებულ მეთოდებს, ეკონომიკურ ურთიერთობას, რომლებიც არ შეესაბამებოდა საზოგადოების რეალურ სიმწიფეს. წარმოება და შრომის სტიმულირება არსებითად ორიენტირებული იყო რაოდენობრივ-ექსტენსიურ განვითარებაზე.

არსებითად წარმოშვა ხელისუფლების ეკონომიკური ინსტრუმენტების შესუსტების მთელი სისტემა. შეიქმნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფერხების თავისებური მექანიზმი. ამ შეფერხების თავდათავისა სოციალისტური დემოკრატიის ინსტიტუტების ფუნქციონირების სერიოზული ნაკლოვანებანი, მოძველებული, ხშირად კი რეალობებისადმი შეუსაბამო პოლიტიკური და თეორიული დებულებანი, მართვის კონსერვატიული სტილი.

ყოველივე ამან დაღი დასვა საზოგადოების ცხოვრების მრავალი სფეროს განვითარებას. მეტი წილი მაჩვენებლების მიხედვით, ჩვენები 70-იანი წლების დამდეგიდან არ სრულდებოდა. ეკონომიკა ნაკლებად აღიქამდა სიახლეებს, მოუქნელი გახდა. პროდუქციის ხარისხი ვერ შემთხვევაში აღარ შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს, ამძვავდა დისპროპორციები. საფინანსო-საკრედიტო სისტემა, ფუნდი მიმოქცევა ეკონომიკის ჩამორჩენილობის ტენდენციების ზრდის 	დეგად სერიოზულად მოიშალა.

სოციალურ სფეროსაც შეეხო ნეგატიური პროცესები. წარმატებით დაფასებული ზოგიერთი რა მოსახლეობის დასაქმების პრობლემა და უზრუნველყოფილი პრინციპული ხასიათის სოციალური გარანტიები, ამავე დროს ვერ შეეძლეთ მთლიანად გამოგვეყენებინა სოციალიზმის შესაძლებლობანი საბინაო პირობების გაუმჯობესების, ხარისხით მომარაგების, სამედიცინო მომსახურების საქმეში, მთელი რიგი სხვა პრობლემების გადაჭრაში.

თავი იჩინა შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის დარღვევებმა. უშრომელი შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლა გაუბედავი იყო. მრავალი ადამიანის შეგნებაში ფუჭი მოიკიდა „ფესვგადგმულობის" ფსიქოლოგიამ, გაიზარდა სხვისი მოიმედეობის ნაწყობილება. სოციალური კოროზიის ელემენტებმა, ბოლო დროს ფართოდ წარმოშვა ადამიანთა ცხოვრებაში, შეანელა ინტერესი საზოგადოებრივი საქმეებისადმი, რასაც მოჰყვა აპათიისა და სკეპტიციზმის გამოვლინებები, შრომის მორალური სტიმულების როლის შესუსტება. ზნეობრივ ატმოსფეროზე დამღუპველ გავლენას ახდენდა კანონების უფულებელყოფის ფაქტები, თვალის ანაბეჭდა და მექრთამეობა, პირმოთნეობისა და ხოტბა-დიდების ნახალისება.

პარტიის, მისი კადრების უდიდესი მუშაობის მიუხედავად, ხელმძღვანელმა ორგანოებმა ვერ შეძლეს დროულად და კრიტიკულად შეფასებინათ საზოგადოებაში უარყოფითი ტენდენციების ზრდის საშიშროება, მიეღოთ გადაწყვეტილებანი, რომლებსაც დაეფინებინთ მოსახლეობა ქვეყანაში შექმნილი ვითარება.

ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი შეძლო შეენარჩუნებინა პრინციპული პოზიცია, შეუპოვრად ებრძოლა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების მკაცრად დაცვისათვის, ნეგატიური მოვლენების, დისციპლინის შესუსტების, ლოთობის წინააღმდეგ საკადრისი პასუხი გაეცა უფუნქციონირებისა და კუთხურობისათვის, ნაციონალისტური გამოვლინებებისათვის. ირღვეოდა კოლეგიურობა მუშაობაში, შესუსტდა პარტიული კრებების, არჩევითი ორგანოების როლი. ზოგიერთი ხელმძღვანელი კომუნისტი კონტროლისა და კრიტიკის მიღმა აღმოჩნდა. პარტიის რიგების სიწმინდის საწესდებო გარანტიები ხშირად არ მოქმედებდა.

ასეთ ვითარებაში პარტიას ეყო ძალა და ვაჟკაცობა: დაესვა გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საკითხი. არსებითად საქმე ეხება რევოლუციური ხასიათის ღონისძიებებს. სხვა გზა ჩვენ უბრალოდ არა გვაქვს. უკან ვერ დავიხევთ და არც გვაქვს დასახვევი. მოვალენი ვართ თანმიმდევრულად

31 იანვრის მოწინავე

PRAVDA

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ დღეს, როცა გარდაქმნა დაწყებითის ეტაპზეა, განსაკუთრებით საჭიროა ვიდგეთ რეალიზმის პოზიციებზე, ობიექტურად შევაფასოთ ის, რაც გაკეთდა, მუშაობის შედეგებს მარტო წარსულის პოზიციებიდან როდი უნდა შევხედოთ, და რაც მთავარია, პარტიის მიერ გამოცხადებული გეგმებითა და მიეკმული დაპირებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ეს ერთადერთი სწორი პარტიული მიდგომაა.

სოციალიზმმა მშრომელებს ნამდვილად ფართო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, პირადი თავისუფლებები მიანიჭა. მაგრამ დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივი გააქტიურების, დემოკრატიის შემდგომი განვითარების პირობებში. ეს არის არსი ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების კურსისა, რომელსაც პარტია ადგას.

ეს პროცესი დაიწყო. მიმდინარეობს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაცია. უფრო სისხლსავსე ხდება პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება. ფართოვდება საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა. უფრო აქტიურად მოქმედებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. იქმნება ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. იზრდება მშრომელთა მონაწილეობა საზოგადოების საქმეებში, მართვაში.

უპირველესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის განვითარებას წარმოებაში, ნამდვილად თვითმმართველობითი საწყისების თანამიმდევრულ დანერგვას აქ, რათა თითოეული მშრომელი თავისი საწარმოს ნამდვილ ბატონ-პატრონად გრძნობდეს თავს. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონში, რომლის პროექტიც გამოტანილი იქნება საყოველთაო სახალხო განხილვისათვის, გადაწყდება უშუალო დემოკრატიის ყველა ფორმის ეფექტიანი გამოყენების ამოცანები. წარმოებაში დემოკრატიის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხია საწარმოების, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმებისა და რგოლების ხელმძღვანელების, ბრიგადირებისა და ოსტატების არჩევითობის შემოღება, ამასთან წარმოებაში ხელმძღვანელების არჩევითობა არათუ არყევს, პირიქით, განამტკიცებს ერთმმართველობას.

შემდგომი დემოკრატიზაციის პრინციპული მიმართულებაა საარჩევნო სისტემის სრულყოფა. ამოცანა ის არის, რომ ამომრჩეველს მივცეთ საშუალება გამოხატოს თავისი დამოკიდებულება რაც შეიძლება მეტი კანდიდატურისადმი . მოვაშოროთ კენჭისყრის პროცედურას ფორმალიზმის ელემენტები.

სულ უფრო აქტუალური ხდება შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოება, უწინარეს ყოვლისა, ყველა ხალხის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების ჩამოყალიბებისას.

საზოგადოების დემოკრატიზაცია ანლებურად აყენებს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, მათი კადრების მუშაობისადმი კონტროლის საკითხს. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს „ქვემოდან" კონტროლის დონისა და ეფექტიანობის გადიდებას,რათა თითოეული ხელმძღვანელი, ყოველი თანამდებობის პირი მუდამ გრძნობდეს თავის დამოკიდებულებას ამომრჩეველებზე, შრომითს კოლექტივებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, პარტიასა და საერთოდ, ხალხზე.

საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისას კვლავაც უნდა ვავითარებდეთ საჯაროობას, კრიტიკასა და თვითკრიტიკას, სოციალისტური დემოკრატიის ამ ნაად ინსტრუმენტს.

აქ დიდი როლი უნდა შეასრულონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. დაგმო რა კრიტიკის მიუღებლობა და მისთვის დევნის, კრიტიკის ამკარა ჩახშობის ფაქტები, მ. ს. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისათვის პრესის შეცდინებას. საბჭოთა საზოგადოებაში არ უნდა იყოს კრიტიკისათვის დახურული ზონები. ეს სავსებით ეხება პრესასაც.

პარტია ფიქრობს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოსვლები კვლავაც გამორჩეული იქნება სიღრმითა და ობიექტურობით, დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით.

ნამდვილი დემოკრატია, აღნიშნულია მოხსენებაში, არ არსებობს კანონგარეშე და კანონზე მაღლა. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ ეკონომიკისა და კულტურის, სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გაფართოების შესახებ ახალი კანონების მომზადებისა და მიღებისათვის. ხაზგასმულია, რომ სოციალისტურ დემოკრატიას საერთო არაფერი აქვს განუკითხაობასთან, ანარქიასთან, უპასუხისმგებლობასთან.

ნამდვილი დემოკრატიის ქმედითობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფართოა მისი სოციალური ბაზა, როგორ გამოიყენება მისი გაფართოების რეზერვები და შესაძლებლობანი. ამ მიზნით უნდა გავააქტიუროთ ახალგაზრდა თაობის მონაწილეობა გარდაქმნის ამოცანების გადაწყვეტაში, ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაუროთ უპარტიოები, ქალები.

პარტია სერიოზულ ყურადღებას უთმობს საკადრო პოლიტიკის ეროვნულ ასპექტებს. ამ პოლიტიკის წარმატებები უდავოა, მაგრამ ეროვნულ ურთიერთობაშიც გამოვლინდა ნეგატიური მოვლენები და დეფორმაციები. ყოველგვარ ნაციონალისტურ და შოვინისტურ მოარულ ხვნს წარმატებით შეიძლება დაუპირისპიროთ მხოლოდ თანამიმდევრული, მტკიცე ინტერნაციონალიზმი.

გარდაქმნის ამოოანების შესაბამისი საკადრო პოლიტიკის ჩამოყალიბებისას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო იმით ხელმძღვანელობს, რომ მის წარმატებას გადამწყვეტწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად დროულად და ღრმად შეიგნებენ ჩვენი კადრები რევოლუციური ცვლილებების აუცილებლობას, შემოქმედებითად განახორციელებენ პარტიის გეზს.

სოციალისტური მშენებლობის წლების მანძილზე ქვეყანაში შეიქმნა და ნიადაგ ივსება მძლავრი მაღალკვალიფიციური საკადრო პოტენციალი. ყველაფერი, რასაც მივაღწიეთ, საბჭოთა ადამიანების მარჯვენამ შექმნა, ჩვენი კადრების თავდადებული მუშაობის შედეგია. ამავე დროს პლენუმზე თვითკრიტიკულად აღინიშნა საკადრო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, დამახასიათებელი საკადრო პოლიტიკაში. იმისათვის, რომ არ დაეშვათ შეცდომები მომავალში, გაკვეთილები წარსულიდან უნდა ავიღოთ.

პირველი გაკვეთილი ის არის, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, რომ საჭიროა დროულად ვწყვეტდეთ მომწიფებულ საკადრო საკითხებს, უზრუნველყოფდეთ ხელმძღვანელობის მონაცვლეობას, ახალი ძალების მუდმივ მიზიდვას, ამ ძალებით ხელმძღვანელი ორგანოების, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის შევსებას.

მეორე გაკვეთილი ის არის, რომ არ უნდა ვურიგდებოდეთ კადრების პოლიტიკური და თეორიული მომზადების, მათი იდეური წრთობის, მუშაობის ტექნოკრატიული სტილის უსწრაფესად დაძლევის მნიშვნელობის შეუფასებლობას. ბევრმა პარტიულმა კადრებმა ყურადღება შეანელა პოლიტიკური და სოციალური საკითხებისადმი.

მესამე გაკვეთილი ის არის, რომ ბოლო წლების საკადრო პოლიტიკაში პარადოქსულად ეგუებოდა ერთმანეთს ორი საწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი მხრივ, უმაღლესი ეშელონების შემადგენლობის უძრაობა, მეორე მხრივ — სანარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა დაუსაბუთებელი, ზოგჯერ ნაჩქარები ცვლა. ჩვენ სტაბილურობის მომხრენი ვართ, მაგრამ იგი არ უნდა გადაიქცეს საკადრო უძრაობად, ჩვენ ცვლის მომხრენი ვართ, მაგრმ ვეწინააღმდეგებით ოთურმის კადრებში.

მეოთხე გაკვეთილი ის არის, რომ ნიადაგ ვაძლიერებდეთ დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობას, განვამტკიცებდეთ დისციპლინას, ვქმნიდეთ ურთიერთმომთხოვნელობის ვითარებას. არ უნდა დაეშვათ, რომ ბევრ პოსტზე ათწლეულობით რჩებოდნენ ადამიანები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ მოვალეობებს.

და კიდევ ერთი გაკვეთილი ის არის, რომ კადრებთან მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზი ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო დემოკრატიული საწყისების სისუსტე. მთელ რიგ შემთხვევებში არჩევითი ორგანოების როლის დაკნინება, აგრეთვე როგორც პარტიაში, ისე სახელმწიფოში კონტროლის ორგანოების საქმიანობაში დაშვებული სერიოზული ხარვეზები.

დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საკადრო პოლიტიკის სრულყოფა. იგი უფრო აქტიური და მიზანმიმართული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლის მთავარ მიმართულებებთან ნამდვილად დაკავშირებული უნდა გავხადოთ. კადრების შეფასების გადამწყვეტი კრიტერიუმია მათი დამოკიდებულება გარდაქმნისადმი, რეალური საქმეები მისი განხორციელებისათვის. თანამედროვე პირობებში უდიდეს მნიშვნელობას იძენს მუშაკთა ზნეობრივი სახე და კომპეტენტურობა, მათი მაღალი პროფესიონალიზმი, ერთგულება ყოველივე მოწინავისადმი, პროგრესულისადმი.

გავაღრმაოთ გარდაქმნა საზოგადოებაში — ნიშნავს უწინარეს ყოვლისა გარდავქმნათ კადრების მუშაობა ყველა დონეზე, თანამიმდევრულად განვახორციელოთ ყველა რგოლში პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები. პარტიულმა კომიტეტებმა, პარტიულმა კადრებმა უნდა ისწავლონ მუშაობა გაღრმავებული დემოკრატიის, ადამიანთა მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის პირობებში.

ამ მუშაობაში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოების, გაერთიანებების სამეურნეო კადრებს, მართვის სფეროს მუშაკებს. მართვის ადმინისტრაციული შეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის, საწარმოებისა და გაერთიანებების დამოუკიდებლობის გაფართოების, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობისადმი ახალი მიდგომის პირობებში საჭიროა ვასწავლოთ ამ კადრებს სრულად ისარგებლონ მინიჭებული უფლებებითა და შესაძლებლობებით. პრინციპულ მნიშვნელობას იძენს კადრების საქმიანობაში სოციალური ორიენტირების გაძლიერება.

საჭიროა უფრო სწრაფად განვახორციელოთ სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის გარდაქმნა, დავეხმაროთ მათ უარყონ წვრილმანი მეურვეობა, გაერთიანებებისა და საწარმოების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევა, ყურადღება მიაპყრონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებს, დარგების განვითარების დიდ, პერსპექტიულ საკითხებს.

ნამდვილად უნდა გაძლიერდეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის მომსახურების დაჩქარებისათვის. პროფკავშირული კადრები მოვალენი არიან უფრო აქტიური პოზიცია დაიკავონ საწარმოო და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში. ყოველნაირად უნდა განვავითაროთ კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივა.

იდეოლოგიური უბნები უნდა განვამტკიცოთ თეორიულად და პროფესიულად მომზადებული ადამიანებით, რომლებიც სრულად გრძნობენ დროის მაჯისცემას, შეუძლიათ იმუშაონ შემოქმედებითად, უფექტიანი პროპაგანდა გაუწიონ პარტიის პოლიტიკას, დაარწმუნონ ადამიანები.

სამართალდაცვითი ორგანოების კადრები მოვალენი არიან ბეჯითად სწავლობდნენ დემოკრატიისა და საჯაროობის გაფართოების პირობებში მუშაობას მთელი ხალხის ნდობასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური საერთაშორისო საქმიანობის განხორციელების ახალი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ საგარეო-პოლიტიკური უწყებების კადრებს. ჩვენი უმთავრესი საზრუნავია სამხედრო კადრები, რომლებიც მშვიდობის დაცვისა და საბჭოთა ხალხის უშიშროების პასუხსაგებ მისიას ასრულებენ.

მოისმინა და განიხილა რა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, პლენუმმა მოიწონა პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რომ გამოიტანა საბჭოთა საზოგადოებაში შექმნილი იმ პერიოდის სისტემიანი ანალიზის საფუძველზე, რომელიც წინ უძღოდა ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმს, გარდაქმნის მიმდინარეობისა და პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების პირველი შედეგების პრინციპული შეფასება, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საკადრო პოლიტიკის თანამედროვე ამოცანები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ჩამოაყალიბა და უნდა გადაწყვიტოს ყველა პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

პლენუმმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებში მიმდინარე გარდაქმნა გაძლიერდება და გაღრმავდება. ამის საწინდარია ის, რომ კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დაწყებულ გარდაქმნას, ფართოდ გაჩაღდა პატრიოტული მოძრაობა მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

ახლა, როცა გარდაქმნის, დაჩქარების შესახებ ბევრი რამ დაიწერა და ბევრიც ითქვა, საჭიროა საქმე და მხოლოდ საქმე.

უნდა ვიმოქმედოთ, ვიმოქმედოთ და კიდევ ერთხელ ვიმოქმედოთ!

საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

31 იანვარს საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობამ განაგრძო მუშაობა.

საქართველოს პროფსაბჭოს და მისი სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო განახლებულ კამათში გამოვიდნენ ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ნ. ს. ჯანხოთელი, თბილისის №18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე გ. ა. შარაბიძე.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ყრილობამ საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობა დამაკმაყოფილებლად ცნო.

ერთხმად დამტკიცდა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო.

აირჩიეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობანი, აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის დელეგატები.

ამით საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

31 იანვარს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია ვ. მ. სირაძე.

რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივნებად არჩეული არიან ზ. ა. კვაჭაძე, ლ. ხ. ხარბედია, ტ. ვ. როსტაშვილი, გ. ხ. შუღაროვი, რ. გ. ურჯუმელაშვილი. პროფსაბჭოს მდივნად საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეულია „თბილისელალამშენის" №5 სახლთსაშენებელი კომბინატის სამეურნეოაგარაშინი ბრიგადის ბრიგადირი ა. დ. დიხტიარი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებად პლენუმმა აირჩია რ. ლ. ბუგაინიშვილი, უ. გ. გოგილაძე, ა. დ. დიხტიარი, ზ. ა. კვაჭაძე, მ. კ. კობახიძე, გ. ო. კუკუტაძე, გ. ნ. კურტანიძე, ნ. ა. ლაკა, ტ. ვ. როსტაშვილი, ზ. გ. სარალიძე, ვ. მ. სირაძე, რ. გ. ურჯუმელაშვილი, ნ. ბ. შარაშენიძე, გ. ხ. შუღაროვი, ლ. ხ. ხარბედია.

პლენუმზე აირჩიეს საქართველოს პროფსაბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობანი და დამტკიცეს მათი თავმჯდომარეები.

პლენუმმა დამტკიცა საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილებათა გამგეები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, გ. ბ. გუმბარიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. ხაჯია, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. მ. მიშინი.

* * *

საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომაზე მის თავმჯდომარედ აირჩიეს ა. კ. ერგეშელიძე. (საქინფორმი).

გაიმართა საუბარი

30 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა კრემლში მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური დელეგაციის მეთაური, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილე კიმ ბოკ სინი.

მხარეებმა პრინციპული თვალსაზრისით განიხილეს საბჭოთა კავშირ-კორეის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივები. (საკინფორმი).

სტიქია აბოგოქრდა

თოვაც, კოკისპირული წვიმებიც

ბუნება კვლავ არასასიამოვნო სიურპრიზებს გვიმზადებს. ხანგრძლივი თოვის შემდეგ მესტიის, ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, საჩხერის, ზესტაფონის რაიონებში, ქალაქ ქუთაისში, საქართველოს სხვა რეგიონებში 28 იანვარს ღამით კოკისპირული წვიმები დაიწყო. ორი დღე-ღამის განმავლობაში ნალექებმა შეადგინა 150-200 მილიმეტრი, ამას წყალდიდობა მოჰყვა. ადიდდა მდინარეები ტეხური, ყვირილა, ხანისწყალი, აბაშისწყალი. წყალმა დატბორა საჩხერის, ვანის, ზესტაფონის, სამტრედიის რაიონების, ქალაქ ჭიათურის ზონის დიდი ტერიტორიები. წყლით აივსო საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი შენობების სარდაფები, დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები. საკმაოდ დიდი ზარალი განიცადა სახალხო მეურნეობამ. დაიტბორა ვანისა და წულეკიძის რაიონების სოფლების ყვავილნარი, კუხის, გუბის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები. მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა ქალაქ ზესტაფონის საქალაქო მეურნ

აწმყოსა და მომავლისათვის პასუხისმგებლობით

საქართველოს კომუნისტები, მშრომელები მზად არიან საქმით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის კლენუმის გადაწყვეტილებებს, გარდაქმნისა და პარტიის საკადრო პოლიტიკის შესახებ მ. ს. გორბაჩოვის მიერ კლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ჩამოყალიბებულ კოლიტიკურ და პრაქტიკულ დასკვნებს. შეგნებული აქვთ რა სოციალისტური სამშობლოს აწმყოსა და მომავლისათვის დიდი პასუხისმგებლობა, რესპუბლიკის მშრომელები აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ იმუშაონ ახლებურად, ენერგიულად, შემოქმედებითად, არა მარტო განამტკიცონ მილწეული გარდაქმნის საწყის ეტაპზე, არამედ წაიწიონ წინ, მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელონ განახლებისა და დაჩქარების კურსი. აჩალებენ რა მოძრაობას მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ისინი ეძიებენ რეზერვებს, რათა უფრო სრულად გამოიყენონ მუშაობაში ეკონომიკის ზრდის ხანგრძლივი ფაქტორები, ყველა მიმართულებით მიაღწიონ საბრძნოგ კოზიტიურ ძვრებს.

მეტი საქმე

ჩვენ მოვალენი ვართ სერიოზულად გავაანალოთ საკადრო პოლიტიკა, გავათავისუფლოთ იგი გარეუდებისა და ხარვეზებისაგან, ნამდვილად თანამედროვედ, უფრო აქტიურად და გამიზნულად ვეკითხოთ, რათა განუყრელად იყოს დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლის უმთავრეს მიმართულებებთან. მე გულში ჩამრჩა ეს სიტყვები, რომლებიც მ. ს. გორბაჩოვმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე თავის მოხსენებაში თქვა.

ბევრ ნაკლსა და ხარვეზს ავიცილებდით თავიდან, თუნდაც რამდენიმე წლის წინათ რომ დაგვესვა ასე გარდაქმნის, პარტიის საკადრო პოლიტიკის საკითხი. ნოვატორულად, ბოლშევიკური მომკითხველობისა და დაუცხრომლობის სულისკვეთებით ჩაიარა პლენუმმა. მან მოგვიწოდა გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, განვამტკიცოთ დისციპლინა და შევქმნათ ურთიერთმომკითხველობის ვითარება. უამისოდ წინ ვერ ვივლით.

აი მაგალითი ჩვენი კოლექტივის ცხოვრებიდან. თითქმის 120 მილიონი მანეთი დაბანდდა ქარხნის რეკონსტრუქციისათვის. გადავდიგართ ორცალიან მუშაობაზე. ახალი რეჟიმი უკვე მოგვარდა რამდენიმე უბანზე. იგი დაგვეხმარება უფრო მალე მივაღწიოთ საპროექტო სიმძლავრეს. მაგრამ იმის გამო, რომ ჩარხმშენებლობის სამინისტროს ოდესის ფოლადოთუჯასსმელმა ქარხანამ დროულად არ მოგვაწოდა ფოლადის სხმულები, შარშან საწარმომ ქვეყანას რამდენიმე ელმავალი დააკლო. ასეთი უდისციპლინობა და ვალდებულებებისადმი გულგრილობა უბრალოდ შეუწყნარებელია. იმ ხელმძღვანელებმა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სახელშეკრულებო მიწოდებათა შესრულებას, პასუხი უნდა აგონ.

უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოში მთელი რიგი ღონისძიებანი ხორციელდება დისციპლინის განსამტკიცებლად და კადრებისადმი მომკითხველობის გასაკაცრებლად. მაგალითად, ამას წინათ სამუშაოდან მოიხსნა და პარტიიდან გაირიცხა პარტიის აბმეტის რაიკომის პირველი მდივანი ზ. მანიკაშვილი. მისი წაყრეებითა და მონაწილეობით რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისეთ ხალხს არჩევდნენ, რომლებსაც აშკარად საეჭვო წარსული და შელახული რეპუტაცია ჰქონდათ.

ჩემ მიერ დამოწმებული შემთხვევა იმის დასტურია, რომ რესპუბლიკურ პარტორგანიზაციაში კიდევ უფრო აქტიურად უნდა სრულყოფდეთ ადამიანებთან მუშაობის ორგანიზაციას.

ბ. მეტონიძე,
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ტრამვაელსაშენებელი ქარხნის ბრიგადირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი.

„პრავდა“, 31. I.

გაგაძლიერეთ დისციპლინა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნა ყოველმა ჩვენგანმა საკუთარი თავით უნდა დაიწყოს. ზედგამოჭრილი ნათქვამია. ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ცვლილებები მიმდინარეობს. ინტენსიური განვითარების რელსებზე გადადის მთელი სახალხო მეურნეობა. იმისათვის, რომ ფეხი ავუწყოთ დღევანდელობას, კარდინალურად უნდა გარდაიქმნას ქალაქისა და სოფლის თითოეული შრომელი, ყველამ ნამუსიანად, სრული უკუგებით უნდა იმუშაოს.

ცხოვრება ადასტურებს: სადაც ჩასწვდნენ სიახლის არსს, სადაც უარი თქვეს მეურნეობის გაძღოლის მოძველებულ ცნებებზე, გააძლიერეს დისციპლინა, იქ წარმატებანი აშკარაა. ჩვენი საბჭოთა მეურნეობა სულ ცოტა ხნის წინათ ჩამორჩებოდა, განსაკუთრებით მეცხოველეობის დარგში, ადამიანები უნიათოდ მუშაობდნენ. მაგრამ აი, ჩვენ შემოვიღეთ სამეურნეო ანგარიში, ბრიგადირებად დავაწინაურეთ მარჯვე, გამოცდილი მუშაკები, გავზარდეთ მეცხოველეთა დაინტერესებ ა შრომის საბოლოო შედეგებით. ყოველ ფერმას, ისინი კი ათზე მეტი გვაქვს, მივამაგრეთ კომუნისტები, რომლებიც პასუხს აგებენ მისი მდგომარეობის, რძის ჩაბარების გრაფიკების დაცვისათვის. ამ და სხვა ღონისძიებებმა მკვეთრად განამტკიცა დისციპლინა, გაზარდა მწველავთა შრომის ნაყოფიერება.

მოვიყვან მაგალითს: № 1 ბრიგადა ჩამორჩებოდა ნაწველის მიხედვით. ახლანდელი ზამთრის პერიოდში მას მივამაგრეთ კომუნისტი ლიზა აფციაური — მეზობელი ფერმის მწველავი, შევაშველეთ ბრიგადას საკვები. ლიზამ დამკვრელური შრომით ფრთა შეასხა ამხანაგებს. ახლა ეს ბრიგადა მოწინავეა და ყოველდღიურად ნორმაზე ორჯერ მეტ რძეს გვაბარებს. შესაბამისად გაიზარდა მწველავთა გამომუშავებაც. ამ დღეებში მთლიანად საბჭოთა მეურნეობა მიმღებ პუნქტებს საშეალოდ აბარებს 1350 კილოგრამ რძეს, შარშანდელზე 200 კილოგრამით მეტს.

ნ. ალთუნაშვილი,
თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ახალ ოგიექტებზე

დღეს ყველას განსაკუთრებულ ყურადღებას აყურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, რომელშიც განხილული პრობლემები და საკითხები აქტუალურია თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით. „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს მთელი კოლექტივი ერთსულოვნად გაეცნო პლენუმის მასალებს. დაისახა კონკრეტული ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა დიდ სიკეთეს მოუტანს აქაურ მშრომელებს.

„თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს კოლექტივმა კარგად დაამთავრა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი, ახლა დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ახალ ასამოქმედებელ ობიექტებზე — მეტროს „ავჭალის გზატკეცილის“ „გლდანის“, „ვაჟა-ფშაველას“, „ბახტრიონის“ სადგურების მშენებლობაზე. თითოეულ სამუშაო უბანზე გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. ათეულიანი რგული, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მუშაობს მეტროს „ვაჟა-ფშაველას“ სადგურის ხაზის გაგრძელებაზე.

თ. გოგიაშვილი,
გვირაბგამყვანი.

ცხოვრება გვიკარნახებს, დრო გვაჩქარებს

ეს-ეს არის დაამთავრა მუშაობა საქართველოს თეატრალური საზოგადოების X ყრილობამ, რომელიც არსებითად საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა გახდა. მას წინ უძღოდა სსრ კავშირის თეატრალურ მოღვაწეთა დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც ძირეულად შეცვალა ჩვენი მუშაობის ორგანიზაციული სტრუქტურა, განსაზღვრა შემოქმედებითი მუშაობის ახალი სტილი და განწყობა.

უარვყოთ ყოველგვარი სტერეოტიპები, პატეოსნად, უკომპრომისოდ, ხმამაღლა ვთქვათ სცენიდან სიმართლე — ამას მოგვიწოდებენ პარტია, ხალხი. საქართველოს სცენური ხელოვნების მოღვაწეებმა თავიანთ ფორუმზე ახლა განსაკუთრებით აღიარეთ, გაბედულად და გულახდილად ილაპარაკეს დღის საჭირბოროტო საკითხებზე, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა დროულ და სწორ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული საერთო საქმის წარმატება.

საზოგადოების ცხოვრების გაანალება ყველას და თითოეულს ეხება. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ზთელ მუშაობას. აქ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ხელოვნებამ და, კერძოდ, სცენურმა ხელოვნებამ, თეატრი ხომ შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოების თავისებურ მოდელადაც, ლაბორატორიადაც, რომელშიც სიმტკიცის გამოცდას გადის სხვადასხვა საზოგადოებიური სტრუქტურა, სადაც სწავლობენ ჩვენი თანამედროვის ზნეობრივ პარამეტრებს, სადაც მას უნერგავენ პატივისცემას წარსულისადმი და მომავლის წვდომის შესაძლებლობას აძლევენ. ჩვენი დემოკრატიის გაღრმავება, შემოქმედებითი თავისუფლების ცნება გულისხმობს თანამედროვე ეტაპზე თეატრალური შემოქმედების ყველა შესაძლებლობის გამოვლენას. თეატრალურ ექსპერიმენტში ჩაბმული ქვეყნის 69 თეატრს შორის ჩვენი რესპუბლიკის ოთხი შემოქმედებითი კოლექტივია. თვით ექსპერიმენტის არსია თეატრის თვითმმართველობის, მისი უფლებების, შემოქმედებითი და ეკონომიკური ინიციატივის გაფართოება, რამაც არ შეიძლება სასიკეთო გავლენა არ მოახდინოს თეატრალურ პროცესზე.

საბედნიეროდ, რესპუბლიკაში შეიქმნა გარკვეული ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც გამორიცხავს უხეშ ადმინისტრირებას, მხატვრის შემოქმედებით ძიებაში, პროფესიულ ცხოვრებაში ჩარევის რეციდივებს.

მაგრამ შეშფოთების საფუძველიც გვაქვს. მრავალ ორგანიზაციულ, საწარმოთა და შემოქმედებით პრობლემას შორის ყველაზე მწვავე კვლავ მაყურებლის პრობლემაა. ახალმა შემოქმედებითმა კავშირმა, რომელსაც ენიჭება ძიებისა და თვითგამოხატვის უფლება, უნდა იზრუნოს, განახორციელოს მტკიცე ღონისძიებანი მაყურებლისათვის, თეატრის მოღვაწეთათვის და, რა თქმა უნდა, რეპერტუარისათვის, შემოქმედებითი პროცესის საბოლოო შედეგის — სპექტაკლისათვის. ერთი სიტყვით, წინ დიდი, ძნელი და საინტერესო სამუშაოა.

დღეს არ შეიძლება პასიური მაყურებელი იყო იმისა, რაც ხდება. სცენის ოსტატები მოწოდებული არიან აქტიური პოზიცია დაიკავონ ჩამორჩენილობის, უფერულობის, უიდეობის წინააღმდეგ, გარდაქმნისათვის, ჩვენი საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი სფეროს გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში. ასეთია ქართული თეატრის მოღვაწეთა სიტყვა და იგი დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს: ცხოვრება გვიკარნახებს, დრო გვაჩქარებს...

გ. ლორთქიფანიძე,
საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ვიმუშაოთ ნამუსიანად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება — ეს არის გარდაქმნის პროცესის შემარტივად საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც ყოველ ჩვენგანს გეზს აძლევს აქტიური შემტკიცებ მოქმედებისათვის ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ამბოკოლებს ჩვენს წინსვლა-განვითარებას.

სწორედ ასე, საღად და თვითკრიტიკულად აღიქვეს მიხეილ სერგეს ძის გამოსვლა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კომუნისტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა. საწარმოს კოლექტივის ძალისხმევის წყალობით უკანასკნელ ხანს შევძელით დაგვეწია თავი ჩამორჩენისათვის. შარშან დადავამეტეთ წარმოების ზრდის დაგეგმილ ტემპს. დავალების გადაჭარბებით წარმოებულია 9 ათას ტონაზე მეტი ფოლადი, 2 ათასი ტონა ნაგლინი, 5 ათასი ტონა აგლომერატი და სხვა პროდუქცია.

კოლექტივს, რომელიც ესწრაფვის საქმის ნამდვილ გამოსწორებასა და მოგვარებას, სათავეში უდგანან კომუნისტები. დასახული დადებითი ძვრები შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ გაიზარდა კადრების პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, გაძლიერდა პარტიის გავლენა წარმოების ყველა უბანზე. აღებულია კურსი, რომ წამყვანი საამქროების უფროსებად მუშაობდნენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ დიდი პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე გავლილი აქვთ პარტიული მუშაობის სკოლა, სარკინიგზო საამქროში, მაგალითად, ამხანაგებმა უფროსად დაიწინაურეს ამავე საამქროს პარტბიუროს ყოფილი მდივანი უშანგ გონგაძე. საწარმოს პარტკომის მდივნის ყოფილი მოადგილე თამაზ შათირიშვილი დღეს ქარხნის მთავარი ფოლადმდნობელია. ამ ბოლო ხანს ჩვენი პარტიული ორგანიზაცია კიდევ 11 პარტიული ჯგუფით განმტკიცდა.

ახლა, როდესაც საკადრო პოლიტიკის გადამწყვეტ კრიტერიუმად, მის თავისებურ კამერტონად გვევლინება კადრების დამოკიდებულება — გარდაქმნისადმი, დაჩქარების ამოცანებისა დ მ ი, ჩვენ დავადექით მტკიცე კურსს, რათა ჩვენივე რიგებიდან დავაწინაუროთ ინიციატივიანი, საზრიანი, ენერგიული ამხანაგები. მიმდინარეობს კადრების გაახალგაზრდავება ყველა დონეზე — წარმოებით დაწყებული და საამქროებისა და უბნების უფროსებით დამთავრებული.

ზ. რუსაძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

მომზადებულები შეხვდნენ პასუხსაგებ კამპანიას — დოლს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსები. ფერმებში უკვე გაჩნდნენ პირველი ბატკნები.

კოლმეურნეობის ფარაში დაახლოებით 12 ათასი სული ცხვარი ჰყავთ, აქედან 7600 ნერბია. ბოდბელმა მწყემსებმა გადაწყვიტეს ყოველ ახ ნერბზე 98-98 ბატკანი მიიღონ.

მაღალი მაჩვენებლებისათვის გაშლილ შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა მეცხვარეთა უგანწესო ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მწყემსი გურამ ხუციშვილი ხელმძღვანელობს. ორმოცი წელია იგი ფერმაში მუშაობს, თავდადებული შრომით საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს კოლმეურნეობაში. ახლა იგი ყოველ ახ ნერბზე ახი ბატკნის მიღებას გვპირდება!



სურათზე: მეცხვარეთა საუკეთესო ბრიგადის ხელმძღვანელი გურამ ხუციშვილი.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი

რაიკომისა და აგროსამრეწველო გაერთიანების ერთობლივი საზრუნავი

ულ ახლახან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა: „... ვერავინ ვერ გაათავისუფლებს პარტიულ კომიტეტს ეკონომიკაში არებული ვითარებისათვის ზრუნვისა და პასუხისმგებლობისაგან. საქმე ეხება, როგორც უკვე ვთქვი, პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების ისეთ სრულყოფას, რომელიც გამორიცხავს სამეურნეო ორგანოების მაგვრობასა და წვრილმან მეურვეობას“.

როგორც ვხედავთ, პარტიას ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი სრულყოფა მიაჩნდა და მიაჩნია თავის უპირველეს საზრუნავად. ამასთან ერთად აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანობის ამაღლებას, ამ სფეროს თითოეული შრომითი კოლექტივის საქმიანობის გარდაქმნას უპირველეს და უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს. მართვის ახალ სისტემებზე გადასვლის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შედეგად შეიქმნა აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრივი საქმიანობის გაუმჯობესების ფართო შესაძლებლობანი, რომლის პირველი შედეგები უკვე აშკარაა.

როგორია ერთობლივი ზრუნვისა და შეთანხმებული მუშაობის შედეგი?

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთობლივი ზრუნვით აზარცილეს კოხკერეულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუშაობის გააქტიურებას და ამის საფუძველზე მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას. სწორედ ამის შედეგია, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალმა 49 სასოფლო-სამეურნეო საწარმომ და ორგანიზაციამ შარშან, მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, მაინც გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს მიაღწია.

არსებითი ძვრები ხდება რაიონისათვის ტრადიციულად მეტად მძიმე დარგში — მეცხოველეობაში. სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის საერთო რაოდენობის 70 პროცენტი კარგად გასუქებული იყო.

რაიონში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგი მეჩაიეობაა. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 37.645 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შესრულდა აგრეთვე მარცვლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ასევე შესრულდა სხვა ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქტების როგორც წარმოების, ასევე დამზადების გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

ასევე დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგროსამრეწველო გაერთიანებაში შემავალ გადამმუშავებელ სამრეწველო საწარმოებში, სადაც საგეგმო 57,3 მილიონი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 59,9 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. შესრულებულია აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის მიწოდება-რეალიზაციის გეგმები. აღნიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის შესაბამის მონაცემებს.

რაიონის სოფლის მეურნეობაში, გადამმუშავებელ მრეწველობაში არაერთი მოწინავე გამოცდილება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები დანერგა. ფართოდ ვითარდება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ისეთი პროგრესული ფორმები, როგორიც არის სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა. შარშან რაიონის 20 საზოგადოებრივ მეურნეობაში კოლექტიური იჯარით მემცენარეობის 211 საწარმოო ბრიგადიდან მუშაობდა 51 ბრიგადა, ხოლო მეცხოველეობაში 21-დან — 20. გარდა ამისა რაიონში სამინდი, სოია და ლობიო მთლიანად ოჯახური იჯარის მეთოდით მოგვყავს. ოჯახურ იჯარაში ჩაბმული იყო 2419 ოჯახი. მემცენარეობის ბრიგადების განკარგულებაში არსებული 5.692 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან 4.424 ჰექტარი გადაცემული ჰქონდა იჯარის წესით მომუშავე ბრიგადებს, რგოლებსა და ოჯახებს. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სიმინდის მარცვალი მთლიანად ოჯახური იჯარის წესით მოვიწიეთ, ხოლო დამზადებული ჩაის 43,4 პროცენტი, ანუ 14.728 ტონა, კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადებმა და რგოლებმა მოკრიფეს. საკვებ წარმოებაში დასაქმებული 272 კაციდან 81 პროცენტი კოლექტიური იჯარის წესით მუშაობს.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმებში რძეს კოლექტიური იჯარის წესით ამზადებენ ამ პრინციპით აწარმოებენ ხორცსაც.

აგროსამრეწველო გაერთიანებას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ცხადია, ჯერ ყველაფერი ვერ არის თავის რიგზე. პრობლემები საკმაოდ გვაქვს. ავიღოთ თუნდაც პროდუქტების თვითღირებულება. წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდ უ ქ ტ ე ბ ი ს თვითღირებულება საკმაოდ დიდია. ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა ცალკეულ კოლმეურნეობებში არასახარბიელოა, სამეურნეო და საფინანსო მაჩვენებლებიც არადამაკმაყოფილებელია.

მეცხოველეობასა და მემცენარეობაში წარმოებული პროდუქტების თვითღირებულება ყოველწლიურად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მცირდება. ამის ძირითადი მიზეზი მემცენარეობაში მექანიზაციის დაბალი დონე, არამწარმოებლური დანახარჯები, პირუტყვის საკვების ცუდი ხარისხი და მისი ნორმის გადაჭარბებით ხარჯვაა. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება გვავალებს, რომ ამ მდგომარეობის გამოსწორება გადაუდებელი ამოცანაა.

საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, სადაც კარგ შედეგებს ვერ მიაღწიეს, უახლოეს დროში მუშაობის მკვეთრად გარდაქმნით უნდა მიაღწიონ დადებითს შედეგებს.

ასეთი მდგომარეობის გამოსწორების უმთავრესი გზა მემცენარეობაში მექანიზაციის დონის სულ უფრო ამაღლება, მოწინავე ტექნოლოგიების და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვაა, მეცხოველეობაში კი საკუთარი წარმოების საკვების ხარისხის გაუმჯობესება და რაოდენობის მატება.

გადავწყვიტეთ, რაიონში წელს ვაწარმოოთ 38 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ასევე მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

დაჩირების შესასრულებლად რაიონის კომუნისტები, მშრომელები ენერგიას არ ზოგავენ. დაწყებულია და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ტექნიკის მომზადება და სხვა.

ამასთან, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების წინაშე მდგომი ამოცანების გზაზე ვაწყდებით მთელ რიგ გადასაწყვეტ პრობლემებს. ცალკეულ დარგებში გვაკლია მაღალკვალიფიციური კადრები, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო შეფერხებებია ზოგიერთი მინერალური სასუქის, სათადარიგო ნაწილების და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დროულად და შეუფერხებლად მიწოდების საქმეში. ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია აგროსამრეწველო გაერთიანებების სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი სათადარიგო ნაწილების და სხვაგვარი სარემონტო-ტექნიკური საშუალებების ცენტრალიზებული წესით უშუალოდ რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოში შემოწოდება.

გადასაჭრელი პრობლემების მოგვარებით, პირადი პასუხისმგებლობის გაზრდით, გერგილეანობის, გარდაქმნის მკვეთრი დაჩქარების გზით შეეცდებით ღირსეული წვლილი შეიტანოთ ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

რ. ჯაბაია,
საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი.

გამოქოფილი სახსრები — დანიშნულებისამებრ

ყოველწლიურად თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებისათვის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი ათიათასობით მანეთი აუთვისებელი რჩება. და ეს იმ დროს, როცა მთელი რიგი სოფლების სკოლები და ბიბლიოთეკები ამორტიზებულ შენობებშია, როცა კაპიტალურ რემონტს საჭიროებენ კულტურის სახლები და კლუბები, როცა რაიონში არ ჰყოფნით საბავშვო ბაღები და ბაგები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სპორტული ნაგებობანი.

თუმცა, უკანასკნელ ხანს რაიონის ადგილობრივმა საბჭოებმა შესამჩნევად გაააქტიურეს მუშაობა ამ მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად გამოყენებისათვის. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეს „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიღების შემდეგ. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ასეთი იყო მთავარი დასკვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგგმო-საბიუჯეტო კომისიისა, რომელმაც მორიგ სხდომაზე განიხილა, თუ როგორ იყენებენ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილ საბიუჯეტო სახსრებს თერჯოლის რაიონის სასოფლო საბჭოები. კერძოდ, წუხილით ითქვა, რომ ჯერ კიდევ არის ისეთი სასოფლო საბჭოები, რომლებიც ამ მიზნით გათვალისწინებულ ასიგნებათა ნახევარსაც კი ვერ ითვისებენ. მოიყვანეს ასეთი ფაქტიც. მაგალითად, არქიტექტურული თვალსაზრისით შესანიშნავ შენობაში მოთავსებული ჩხარის კულტურის სახლი უკვე ორი წელიწადია დახურა სახელმწიფო ინსპექციამ სახანძრო უშიშროების ელემენტარული ნორმების დაუცველობის გამო. წლების მანძილზე აუთვისებელი რჩება სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი სახსრები.

თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს კომისიამ ურჩია კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ სოციალური სფეროს განვითარების ტემპის დასაჩქარებლად, არ დაუშვან ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების აუთვისებლობა. ამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასკომებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ი. ხაბურზანიამ.

(საქინფორმი).

საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობის მიერ არჩეული

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წევრები

აბასოვი მ. მ.	გამეზარდაშვილი თ. გ.	დიხტიარი ა. დ.	კეთილაძე ა. ე.	მაჭავარიანი ვ. ვ.	როსტიაშვილი ტ. ვ.	ქემოკლიძე რ. ი.	ცხაკაია ნ. შ.
ადამიანაშვილი შ. ა.	ბარდაშხაძე კ. კ.	ენდელაძე ნ. შ.	კვაჭაძე ზ. ა.	მენაბდე ო. ი.	რუსიეშვილი ნ. ვ.	ქრისტესიაშვილი კ. ი.	წიკლაური ე. ი.
ანისიმოვა ნ. ვ.	გაჩეჩილაძე გ. ს.	ვადაჭკორია ვ. ი.	კირაკოსიანი რ. ვ.	მინაშვილი ნ. ვ.	რუხაძე შ. ა.	ქურდიანი ვ. შ.	წუწუნავა რ. რ.
არჯევანიძე ნ. ტ.	გელდიაშვილი ნ. გ.	ვასაძე ნ. შ.	კიუტი მ. გ.	მინდელი გ. ვ.	საკოვი ი. ვ.	ღუდუშაური თ. დ.	ჭანიძე გ. ი.
აფრასიძე ლ. კ.	ბერძენიაშვილი ს. ნ.	ვეფხვაძე ვ. ს.	კოტაიძე ზ. ი.	მოზგოვაია ა. ი.	სალიაშვილი ჯ. ნ.	შამანაძე ჟ. ნ.	ჭაბია ბ. დ.
ახვერდოვა ვ. ე.	გოგეჯიშვილი შ. ე.	ვოლნი ვ. ი.	კობახიძე მ. კ.	მოსაშვილი თ. ი.	სანაკოევი უ. ბ.	შარაშენიძე ნ. ბ.	ჭინჭარაული ლ. ა.
ბაკურაძე მ. ბ.	გოგილიძე უ. ბ.	ზაკალაშვილი ნ. შ.	კოლტაძე ა. ი.	მდებრიშვილი ლ. ს.	სარალიძე ზ. ბ.	შუღაროვი ბ. ს.	ხაზრაძე ი. ბ.
ბალაბანოვა მ. ბ.	გოგუაძე თ. ვ.	ზურაბაშვილი ნ. რ.	კრიხელი ლ. ა.	ნადირიანი ა. ა.	სირაძე ვ. მ.	ჩიბურდანიძე მ. ბ.	ხარაბიშვილი მ. ლ.
ბეგიაშვილი ლ. რ.	გოძიაშვილი დ. ვ.	თაბუკაშვილი რ. შ.	კუპატაძე ბ. ო.	ოტიაშვილი ლ. ვ.	სტურუა დ. ბ.	ჩიხლაძე რ. ნ.	ხარბედია ლ. ს.
ბერუაშვილი ზ. შ.	გუგავა ჯ. ვ.	თევდორაშვილი დ. ვ.	კურტანიძე გ. ნ.	ოქროპირიძე შ. მ.	უმანკოშვილი გ. ს.	ჩოხელი ა. ა.	ხატიაშვილი ს. ვ.
ბელელაძე ლ. ზ.	გუგუშვილი ე. ნ.	იანკოვსკი დ. მ.	ლაბაჩკოვა ნ. ა.	კაკაშვილი ჯ. ნ.	ურჯუმელაშვილი რ. ბ.	ციბაძე ბ. მ.	ხაჩიძე ს. ბ.
ბუბიანაშვილი რ. ლ.	გუმბარიძე ბ. ბ.	ირემაშვილი მ. დ.	ლაკია ნ. ა.	კატიაშვილი ჯ. ი.	ფილფანი ბ. ბ.	ცინცაძე ი. დ.	ხოფფარია ს. ს.
ბურდული ი. ე.	გურგენიძე ნ. ვ.	კაკაბაძე ნ. ვ.	ლაკობა ც. ს.	კეტრიაშვილი ნ. ა.	ფრანგიშვილი ი. ვ.	ცინცაძილაძე მ. ო.	ჯაბუა მ. ა.
ბურჯანაძე ა. ვ.	გურული კ. კ.	კაკაშვილი ი. დ.	ლუხუტაშვილი ბ. ი.	ქვანია ნ. ა.	ფხაკაძე ბ. ს.	ციხაძე ლ. უ.	ჯანხოთელი ნ. ს.
ბაბუნია ი. ვ.	დემურჩიევა ფ. მ.	კანდელაკი ნ. ა.	მაისურაძე ა. შ.	ჟიდკო ვ. ა.	ქარჩავა ქ. დ.	ცოგაეხია გ. ს.	ჯაფარიძე რ. ა.
გაგაკელი ნ. მ.	დიდიშვილი ზ

კოსმოსი
ფაქტები • მოვლენები

მოქმედების მძლავრი იმპულსი

საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეასრულოს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი. საბჭოთა კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი კვლავაც იღვწებიან საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის მიღწევისათვის, ისინი მტკიცედ ადგანან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოების განახლების, ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნის, სერიოზული, გაღრმავებული დემოკრატიზაციის გზას. ეს აზრი ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგების, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებისა და საბოლოო სიტყვის გამო ფართო საერთაშორისო გამოხმაურებებში.

▼▼

ბერლინი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დიდი პოლიტიკური მოვლენაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაშიც და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაშიც, აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი“. პლენუმის მიერ მუშაობას ახასიათებდა სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსის ერგებული განხორციელებისადმი ცენტრალური კომიტეტის დიდი პასუხისმგებლობის საერთო გრძნობა. პლენუმი არსებითად წინ წაიწია საბჭოთა კავშირის გარდაქმნის გზაზე, რომელიც უკვე რეალობად იქცა. დღეს წინა პლანზეა გამოწეული საბჭოთა საზოგადოების სერიოზული გაღრმავებული დემოკრატიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. სწორედ ეს არის პრინციპი, რომელიც შესაძლებელს ხდის გარდაქმნაში ჩაბას მისი გადაწყვეტი ძალა — საბჭოთა ხალხი.

სოფია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტები, მოხსენება, რომელიც პლენუმზე გააკეთა მ. ს. გორბაჩოვმა, საბჭოთა ხალხის ქვეყნის ისტორიაში ნათელ ეტაპად ჩაიწერება, ნათქვამია ბულგარეთის საინფორმაციო სააგენტოს კომენტარში. ისინი სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ეფექტურობის ამაღლების, ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების, ეროვნული შემოსავლის ზრდის, ეროვნული ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლების, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციის

ქართველი მუსიკოსის წარმატება

ახლახან მოსკოვში, გნესინების სახელობის ინსტიტუტის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელიც მიეძღვნა დიდი გერმანელი რომანტიკოსი კომპოზიტორის, დირიჟორისა და პიანისტის კარლ ვებერის დაბადების 200 წლისთავს.

კონცერტზე შესრულდა კომპოზიტორის მხოლოდ კლარნეტისათვის დაწერილი ნაწარმოებები ფორტეპიანოს თანხლებით. მონაწილეობდნენ საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, დამსახურებული არტისტები და პროფესორები, საბჭოთა სიმფონიკა სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლები.

აქ, როგორც საუკეთესო შემსრულებელი, მიწვეული იყო თბილისის ვინო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, რევაზ ჯიბლაძე.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც რევაზ ჯიბლაძე საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა, იყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის, თბილისის საოპერო თეატრის ორკესტრის მსახიობი.

კონცერტზე რევაზ ჯიბლაძემ შესრულა (მოსკოვში პირველად) ვებერის ნაკლებცნობილი ნაწარმოები „კონცერტი კლარნეტისა და ორკესტრისათვის მი ბემოლ მაჟორი“ (ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების დიპლომანტი ტ. გრიგორიანი).

შესრულების ვირტუოზულობამ, კონცერტის ფორმის ზუსტმა შეგრძნებამ მოსკოველ მსმენელთა დიდი აღტაცება გამოიწვია. რ. ჯიბლაძე რამდენჯერმე გამოიძახეს, „ბისზე“, რის შემდეგ ქართველმა მუსიკოსმა ასეთივე ექსპრესიულობით ააღერა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ირაკლი გეჯაძის მშვენიერი მუსიკალური ნაწარმოება „მერცხალი“.

შ. დავიდოვი,
კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

კონკურსი

თ. დავითაიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 3 ივნისის დადგენილებით დაწესებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თეოფანე დავითაიას საპელობის პრემია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში მნიშვნელოვანი სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის ნამუშევრებისათვის.

1987 წელს თეოფანე დავითაიას სახელობის პრემია 1000 მანეთის ოდენობით მიენიჭება უკანასკნელი სამი წლის მანძილზე შექმნილ საუკეთესო ნამუშევარს.

პრემიის მოსაპოვებლად ნამუშევართა წარმოდგენა ხდება სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ბუნების დაცვის სამსახურების, სამეცნიერო, საპროექტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების სათანადო რეკომენდაციებით.

საკონკურსო ნამუშევარი წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ცალად. მას უნდა დაერთოს დასაბუთებული დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს ნამუშევრის მეცნიერულ შეფასებას და განმარტავდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის.

საკონკურსო მასალები უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ ბუნებისა დაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობას 1987 წლის 4 მაისამდე.

ნამუშევართა პრემიაზე წარდგენის და მასალების გაფორმების თაობაზე ცნობებისათვის მიმართეთ თ. დავითაიას სახელობის პრემიის კომისიას, მისამართი: 380018, თბილისი, რუსთაველის პრ. 8, მთავრობის სახლი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, ოთახი 467, ტელეფონი 93-41-03.



სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში „საქქალაქმშენსახპროექტში“ ყოველწლიურად 300-ზე მეტი პროექტი მუშავდება, რომელთა მიხედვით რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში ახალი ნაგებობები შენდება. **საინტერესოა, დღეისათვის რა მნიშვნელოვანი პროექტებია უკვე მომზადებული და 1987 წელს რომელი მათგანის მშენებლობას ჩაეყრება საფუძველი?**

— ასეთი კითხვით მივმართეთ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, არქიტექტორ ჯუმბერ სარიშვილს.

აი რა გვიპასუხა მან:

— მიმდინარე წელს ინსტიტუტის არქიტექტორთა პროექტებით მრავალი ფართო მასშტაბის მშენებლობა დაიწყება. მათ შორის დღეისათვის ყველაზე საშურ საქმედ მიგვაჩნია ენერგეტიკოსების ქალაქის სლავუტიჩის საპროექტო სამუშაოებში მონაწილეობა. საკავშირო მთავრობის დადგენილებით ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის თანამშრომლებისა და მათი ოჯახებისათვის ორი წლის განმავლობაში უნდა ამშენდეს ახალი ქალაქი.

ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკას დაევალა ქალაქ სლავუტიჩის თითო საცხოვრებელი მიკრორაიონის მშენებლობა. თვითონ რესპუბლიკამ უნდა შეასრულოს ყველა სამუშაო — დაპროექტებით დაწყებული და მშენებლობით დამთავრებული. საქართველო აშენებს მეხუთე საცხოვრებელ მიკრორაიონს. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ჩვენ ერთერთმა პირველებმა — 27 დეკემბრისათვის დამკვეთს პირველი რიგის სამუშაო დოკუმენტაცია ჩავბარეთ. მუშაობა წარმოებდა ოპერატიულად. პარალელურად მიმდინარეობდა გეოლოგებისა და საძიებო განყოფილებათა, არქიტექტორების, კონსტრუქტორების, სანტექნიკოსების სამუშაოები. პროექტის მთავარი არქიტექტორია ვახტანგ გაფრინდაშვილი. ეს მისთვის პირველი ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტია და კარგადაც გაართვა თავი (პროექტი დამუშავდა ინსტიტუტის № 4 სახელოსნოში. ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი გრ. ჯაბუა). პროექტში გამოვიყენეთ ამავე სახელოსნოს მიერ დამუშავებული „ალგეთის“ ტიპის საცხოვრებელი სახლები. ეს არის ოცდაათბინიანი შენობა, სადაც სამი ბინა გამოკლებულია და მათ ადგილს რაიმე საზოგადოებრივი ობიექტი იკავებს. სლავუტიჩში საცხოვრებელ სახლებთან ერთად შენდება საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების ობიექტები. პირველი რიგის მშენებლობები უკვე დაწყებულია.

— რას გვეტყვით რესპუბლიკაში მშენებარე ობიექტებზე?

— ჩვენს ინსტიტუტში დაპროექტდა და უკვე მიმდინარეობს თბილისის მოსახლეობისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასვენების ზონის მშენებლობა საგურამოში. ეს იქნება საკმაოდ დიდი კომპლექსი, რომელიც კარგ სამსახურს გაუწევს მშრომელთა დასვენებისა და გაჯანსაღების საქმეს. პროექტი დამუშავდა № 2 სახელოსნოში საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის გ. მეტრეველის ხელმძღვანელობით. იგივე სახელოსნო ასეთსავე ობიექტს აშენებს კრწანისის ტყე-პარკის ზონაში.

ქალაქ ცხინვალში დაწყებულია მუსიკალურ-დრამატული თეატრის მშენებლობა. თეატრი გათვალისწინებულია 700 მაყურებლისთვის. პროექტის ავტორები არიან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორები ლ. მეძმარიაშვილი და მ. ჩაჩანიძე.

კვლავ გრძელდება პიონერთა და მოსწავლეთა ქალაქ „მზიურის“ მშენებლობა. ქალაქის ტერიტორიაზე დაიწყება ფრენბურთის სკოლის მშენებლობა. პროექტის ავტორია ახალგაზრდა არქიტექტორი გ. აბულაძე (№ 1 სახელოსნო, ხელმძღვანელი — არქიტექტორი ი. მასხარაშვილი) ამავე სახელოსნოში რესპუბლიკის დამსახურებულმა არქიტექტორმა ლიუდმილა ჯანბერიძემ შექმნა ბავშვთა სანატორიუმის პროექტი, რომლის მშენებლობა აგრეთვე წელს არის გათვალისწინებული დაბა ბაკურიანში.

რ. დარჩიაშვილი.

სურათზე: ქ. ცხინვალის მუსიკალურ-დრამატული თეატრის შენობის მაკეტი.

სლავუტიჩს ჩვენებურებიც აშენებენ

ავადმყოფის მკურნალი მხოლოდ ექიმია

პროფილაქტიკა მთავარი მიმართულებაა

დღეისათვის ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი უკვე აღარ არის საბედისწერო. თანამედროვე ონკოლოგიის მიღწევები ბევრ შემთხვევაში ამ დაავადების დაძლევის საშუალებას იძლევა. ქირურგიული ჩარევით, სხივური და მედიკამენტოზური მკურნალობით ყველა ასეთი ავადმყოფის განკურნება შეიძლება, თუკი ისინი დროულად მიმართავენ ექიმს.

ონკოლოგიურ ავადმყოფს ყველაზე დიდი საშიშროება ექმნება მაშინ, როდესაც იგი თავისი მკურნალობის რომელიმე ეტაპზე ექიმმაშს მიმართავს. ექიმმაში ონკოლოგიაში — იქნება ის უვიცი და გაუთათლებელი თუ სხვადასხვა სამეცნიერო ხარისხითა და წოდებით აღჭურვილი პირი — განსაკუთრებით საშიშია. მათი „წამლობა“ ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ზშირად მთავრდება ტრაგედიით ავადმყოფისათვის, ვიდრე სხვა დაავადების დროს.

თაღლითები მედიცინაში მოულოდნელი და განსაკუთრებული სიბალე არ არის. ძველი დროიდან ჰქონდა ხალხს „ზეციურ სასწაულთა“, საიდუმლოებრივი და ჯადოსნური მოვლენების ცოტა წმენა. „მკურნალობის“ ნაირსახეობანი ძირითადად დამოკიდებული იყო ექიმმაშის ფანტაზიაზე: იქნებოდა ეს „მკვდარი თუ ცოცხალი წყალი“, ნავთი თუ ჯადოსნური თვისებების ბალახები, სხვადასხვაგვარი დიეტა, ადამიანის და სხვადასხვა ცხოველის შარდი ან სხვა რაიმე გამონაყოფი... ექიმმაშების პრაქტიკული მოქმედების და თეორიული კონცეფციების მთლიანი უსაფუძვლობა და აბსურდულობა ხელს არ უშლიდა მათ კლიენტურის ქსელის გაფართოებაში.

ეს მოვლენა შემდგომ იმდენად გავრცელდა, რომ მხატვრულ ლიტერატურაშიც კი პოვა ასახვა (მაგალითად, მ. ლარინის „ფეთხე მალა“). ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებული იყო მასალები ვინმე გეორგ კამატერისის შესახებ. ისევე როგორც ძველი საბერძნეთის ცნობილი დასტაქარი ჰიპოკრატე, იგი კოსის კუნძულზე დაიბადა. ათეწლნი გამართულმა სასამართლომ ამ ავანტიურისტს რვა თვის პატიმრობა მიუსაჯა. კოსის მკვიდრი ამტკიცებდა, თითქოს ჰიპოკრატეს დაჰკავშირებოდეს და ვითომ მას გაენდოს იმ წამლის საიდუმლო, რომელიც კიბოს დაავადებას კურნავს. „სასწაულმოქმედი ბალზამის“ ძირითადი შემადგენელი ჩვეულებრივი წყალსადენის წყალი იყო.

სამწუხაროდ, ჩვენშიც მოიპოვებიან ექიმმაშები, რომლებიც იჩემებენ კიბოს მკურნალობას. მაგალითად, დ. ჭედია, განათლებით პალეონტოლოგი, ჩვეულებრივი ქლორეთილით მკურნალობდა კიბოს. დამახასიათებელია, რომ იგივე პრეპარატით იგი მკურნალობდა აგრეთვე შიზოფრენიას და მისივე განცხადებით — მოწყენილობას (ჰიპოქონდრიას).

ყველასათვის კარგად არის ცნობილი ის აჟიოტაჟი, რომელიც ზოგიერთებმა „ჯუნა დავითაშვილის ფენომენის“ გარშემო ატეხეს, რომელსაც ელექტრასენსის „ზებუნებრივი ძალა“ — ბიოელი ალმოჩნდა ხელებში, ცდილობდა მრავალი დაავადების, მათ შორის ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობას. ბიოელების არსებობა სადღისოდ არავითარ ეჭვს არ იწვევს (მეცნიერებმა ამას წინათ დაადგინეს მის ფიზიკური არსი), მაგრამ მათი მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობა მეცნიერულად უნდა იყოს დასაბუთებული. თუკი ელექტრასენსების მიერ ბიოელების გამოყენება ფუნქციური ცვლილებების დროსაც საეჭვოა, არავითარი გამართლება არა აქვს მათს გამოყენებას ორგანული ცვლილებების — კიბოს, ინფარქტის ან ინსულტის დროს. სხვათა შორის, თვითონ ჯუნა დავითაშვილმა გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ შარშანდელი 13 აგვისტოს ნომერში აღიარა, რომ მას არ გააჩნია ისეთი რაიმე ელექტროენერგიული ბალახის, კოსმოსის მოქმედების განმუხტვის ან ელექტრასენსის ხელების ბიოველების გამოყენება ავთვისებიანი სიმსივნის დროს ჭეშმარიტი დანაშაულია, ვინაიდან ავადმყოფს ეკარგება ის ძვირფასი დრო, როდესაც ექიმებს დროული მკურნალობით შეუძლიათ მისი გადარჩენა და სიცოცხლის გახანგრძლივება.

40 წლის ავადმყოფმა ქალმა ღლომ, შემთხვევით თვითონვე აღმოაჩინა მარცხენა სარძევე ჯირკვალში ბალიანი. ონკოლოგებმა მას შესთავაზეს მცირე ოპერაცია — სექტორალური რეზექცია (სარძევე ჯირკვლის ნაწილის ამოკვეთა), მაგრამ ავადმყოფმა უარი განაცხადა. მისმა ახლობელმა იგი მიიყვანა ექიმმაშ რ. ლომიძესთან (რომელიც განათლებით თუმცა ექიმია, მაგრამ ექიმობას ექიმმაშობას ამჯობინებს). იგი ავადმყოფს დაჰპირდა, ისეთი ბალახით გიმკურნალებთ, რომ სიმსივნე გაგიქრებათო. გავიდა დრო... სიმსივნე გაიზარდა და გავრცელდა, განვითარდა მეტასტაზები ლიმფურ კვანძებში. საჭირო გახდა რადიკალური ოპერაცია — მთელი სარძევე ჯირკვლის ამოკვეთა ლიმფურ კვანძებთან ერთად და შემდგომი კომპლექსური მკურნალობა.

არის ბევრი სხვა მსგავსი შემთხვევა.

როდესაც რ. ლომიძეს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში წარუდგინეს მის მიერ დაღუპულ ავადმყოფთა სია და ავადმყოფობის ისტორიები, იგი იძულებული გახდა დაედო ხელწერილი, რომელშიც პირობას იძლევა, რომ მომავალში აღარასოდეს მოპკიდებს ხელს ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობას.

მოსახლეობაში საკმაოდ ზშირად გაიგონებთ, რომ არსებობს „გაჩეჩილაძის პრეპარატი“, რომლითაც ვითომდაც ბევრი ონკოლოგიური ავადმყოფი განკურნებულა. ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ა. გაჩეჩილაძის პრეპარატი ზვიგენის ქსოვილებისაგან დამზადებულ ენზიტრაქტს წარმოადგენს. ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მოწყობილი ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგენილია, რომ მას არა აქვს არავითარი კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება. ნიშანდობლივია, რომ ამ ბოლო დროს ა. გაჩეჩილაძე აღარ ცდილობს ამტკიცოს, კიბოს ვარჩენო. მის მიერ საკონფერენციის ორგანიზებულ ინფორმაციის ბიულეტენებში ამ ფენომენზე ინფორმაციის ბოლოს ასეთი ფრაზა ბეჭდავს: „